საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ლომიაშვილი ლიანა შალვას ასული

ლომიაშვილი ლიანა შალვას ასული (დ. 18. III. 1945, თბილისი), ქორმაისტერი, პედაგოგი. საქართვ. დამს. არტისტი (1986). 1968 დაამთავრა თბილ. სახელმწ. კონსერვატორიის საგუნდო სადირიჟორო ფაკ-ტი. 1970–77 იყო საქართვ. მუს. ქორეოგრ. საზ-ბის საგუნდო კაპელის, 1977–2003 კი – საქართვ. ნ. სულხანიშვილის სახ. საგუნდო კაპელის ქორმაისტერი და დირიჟორი. პარალელურად 1977-იდან არის თბილ. სახელმწ. კონსერვატორიის აკად. გუნდის დირიჟორი, პედაგოგი, 2007-იდან – ასოცირებული პროფესორი.

ლ-ის რეპერტუარშია: შ. მშველიძის „წყაროზე თუნგით ჩახვედი“, „მთასა კლდიანსა“, ლ. შავერზაშვილის „ვინც მე მომიხმობს“; ი. ბობოხიძის კანტატა „მთაწმინდის მთვარე“, „ქებათა-ქება ნიკორწმინდას“, ი. კეჭაყმაძის „ფშაური იდილიები“, „რომ ავყოლოდი გულისთქმას“; გ. ბზვანელის „წყარო და მერცხალი“; ო. თაქთაქიშვილის „ო, ენავ ჩემო“ და სხვ.

დაჯილდოებულია ღირსების მედლით (1998).

ლიტ.: წიგნი ღირსებისა, ტ. 3, თბ., 2001.

რ. ქუთათელაძე

მ. ჯაფარიძე